პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 16
(7327)

23 1983 წ.
იანვარი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ვემზადებით
სსრ კავშირის ხალხთა
VIII სპარტაკიადისთვის

პირველია ნანა ალექსანდრია

იაიცეში (იუგოსლავია) დამთავრდა ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა დიდოსტატებიც მონაწილეობდნენ.

I ადგილი დაიკავა ნანა ალექსანდრიამ, რომელმაც ცხრა შეხვედრაში 7 ქულა მოაგროვა. II ადგილზე დარჩა უნგრელი ჟ. ვერეცი-პეტრონიჩი — 6,5. III ადგილზეა ირინა ლევიტინა (სსრ კავშირი) — 6.

გამარჯვება გაიყვეს

საკდეხის კორესპონდენტი ზიმბაბვედან იტყობინება, რომ ამ ქვეყნის დედაქალაქში დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის ათ მონაწილეს შორის იყო ერთი ქალი — სსრ კავშირის ჩემპიონი **ნანა იოსელიანი.**

I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა **ბუხუტი გურგენიძემ** და რ. ბირნმა (აშშ) — 8-8 ქულა.

ნანა იოსელიანმა 6,5 ქულით VI ადგილი დაიკავა.

1:0

გუშინ ლეხელიძეში გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა. ბურთი გაიტანა პაიკიძემ. (ტელეფონით „ლელოს“ კორ.).

ჭიდაობაშიც, ტანვარჯიშშიც

სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა „ჭაბუკი ზენიტელის“ პროგრამით ჩატარებული საკავშირო სპარტაკიადის შედეგები. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა. სპარტაკიადამ, რომელიც სპორტის 6 სახეობაში მიმდინარეობდა, ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს ჩვენმა ჭაბუკმა ტანმოვარჯიშეებმა. მათ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს და ამასთან ერთად ყველაზე მეტი ქულა მისცეს რესპუბლიკის ნაკრებს. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატებს შორის—პაატა ჩხიკვაძე (მან ექვსივე იარაღზე გაიმარჯვა), ხოლო პირველთანრიგოსნებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა კობა ჩოხელი. მეორე და მესამე ადგილებზე არიან შესაბამისად ლევან სისაური და ვაჟა სადღობელაშვილი. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავეებიც, რომლებმაც 31 გუნდს შორის მეორე ადგილი დაიკავეს. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ დ. ირემაძე (65 კგ) და მ. სამსიანი (77). მეორე ადგილებზე არიან დ. მაისაშვილი (41), ზ. ჯიბლაძე (62) და გ. სანაძე (77).

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა თბილისის XXII საერთაშორისო ტურნირის წინ

ინტერესითა და იმედით

კიდევ რამდენიმე დღეც და თბილისის სპორტის სასახლე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირის მასპინძელი იქნება. ჭიდაობის მოყვარულებს საშუალება მიეცემათ სარბიელზე იხილონ მსოფლიოს 10-ზე მეტი ქვეყნის უძლიერესი ათლეტები. თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც წლეულს ოცდამეორედ იმართება, ტყუილად როდი უწოდებენ მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ჩვენს დედაქალაქს პლანეტის თითქმის ყველა სახელგანთქმული ფალავანი ეწვია. ზოგნი უმაღლესი სპორტული ტიტულებით ჩამოდიოდნენ თბილისში, ზოგმა კი აქ გადადგა პირველი ნაბიჯები და შემდეგ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ერთი სიტყვით, ჩვენი ტურნირი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ შეჯიბრებად იქცა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთათვის ახალი სპორტული სეზონი სწორედ აქედან იწყება.

ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეებისათვის წლევანდელ ტურნირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. 1983 წელი ხომ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის წელიწადია და მწვრთნელებს, სპორტსმენებს ძალების შემოწმების მშვენიერი შესაძლებლობა ეძლევათ. გარდა ამისა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა 1983 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენს ქვეყანაში მოეწყობა (კიევი, 27 სექტემბერი —1 ოქტომბერი) და თბილისის ტურნირი მომავალი ჩემპიონატის მონაწილეთათვის ერთგვარი რეპეტიცია იქნება.

როგორც ყოველთვის, საერთაშორისო ტურნირი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მასპინძლებს — საქართველოს ფალავნებს, რომლებიც საკმაო ხანია ემზადებიან ამ შეჯიბრებისათვის. გუშინწინ ვეწვიეთ თბილისის განათლების სამმართველოს სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას, სადაც დასკვნით სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გადის საქართველოს ნაკრები. სხვათა შორის, აქვე რამდენიმე დღეა ვარჯიშობენ ბულგარელი მოჭიდავეები და არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ნაკრების წევრები.

— ბულგარელ და არმიელ მოჭიდავეებთან ამას წინათ საკონტროლო შეხვედრები ჩავატარეთ, — გვეუბნება საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი **ვლადიმერ მესტვირიშვილი,** —ბულგარელებმა უძლიერესი შემადგენლობა (სულ 20 კაცი) ჩამოიყვანეს თბილისში და მათთან წინასწარი შეხვედრა, ვფიქრობ, სასარგებლო იყო ჩვენთვის. ცსკა-ს გუნდშიც ძლიერი მოჭიდავეები არიან თავმოყრილნი. საკონტროლო ორთაბრძოლებმა დაგვანახა, რომ ჩვენი ნაკრების წევრთა ძირითადი ნაწილი ამ ეტაპზე ურიგოდ არ გამოიყურება, თუმცა, რასაკვირველია, ყველაზე ზუსტ პასუხს უშუალოდ ტურნირი გაგვცემს.

— იქნებ უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ მზადების მიმდინარეობაზე.

— მე არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ნაკრებთან ვმუშაობ. ბოლოდროინდელი შედეგები მეტყველებენ, რომ მთელ რიგ წონით კატეგორიებში არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების წარმატებების ფონზე, რა თქმა უნდა, ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები მაღალი სპორტული მაჩვენებლებით ვერ გამოირჩევიან, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მოზარდთა შორის გარკვეული წინსვლა იგრძნობა. მაგალითად, მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები ჩემპიონი გახდა, ჩვენი ჭაბუკები წარმატებით გამოვიდნენ დნეპროპეტროვსკში ახლახან გამართულ საკავშირო პირველობაშიც. რესპუბლიკის მოზრდილთა ნაკრების კანდიდატთა შორისაც მრავლად არიან ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები. გასაგები მიზეზების გამო, თბილისის ტურნირში ყველა ვერ მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ მალე კვლავ გაიმართება ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო შეჯიბრებები, სადაც შევამოწმებთ 1961-65 წლებში დაბადებულ პერსპექტიულ მოჭიდავეთა დიდ ჯგუფს.

მოგეხსენებათ, წლევანდელი სპორტული სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაა და ჩვენი მუშაობის მთლიანი გეგმაც ამ შეჯიბრებისათვის მზადებას ექვემდებარება. ცხადია, თბილისის ტურნირი მზადების საეტაპო ნაწილია, თუმცა სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ისეა გაანგარიშებული, რომ ნაკრების წევრებმა სპორტული ფორმის ზენიტს სწორედ სპარტაკიადისთვის უნდა მიაღწიონ... ორი საწვრთნელი შეკრება მოვაწყვეთ კისლოვოდსკში, სადაც ვარჯიშისა და დასვენების მშვენიერი პირობები გვქონდა. ამ შეკრებებზე ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო სპორტსმენების მორალურ-ნებელობითი თვისებების ამაღლება, მათი ფუნქციონალური მონაცემების შეკწავლა და ფიზიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება. ახლა შეკრებას აქ, ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის ბაზაზე ვაგრძელებთ. კვების საკითხში ცოტა შეფერხებები გვქონდა, მაგრამ ამჟამად ყველაფერი მოგვარებულია, ოღონდ ესაა, რომ მასაჟისტი არა გვყავს, რაც საგრძნობლად გვიშლის ხელს.

— თბილისის ტურნირზე ჩვენი რესპუბლიკის რამდენი მოჭიდავე გამოვა?

— სულ 16-17 კაცი. მოდით, წონების მიხედვით მივყვეთ: უმჩატეს წონაში იასპარეზებს წოწორია, მჩატეში — ტატუაშვილი. სამწუხაროდ, 57 და 62 კგ წონებში მაღალი კლასის სპორტსმენები არა გვყავს და ჯერჯერობით პერსპექტივაც არა ჩანს. პირველ ქვესაშუალო წონაში გამოვლენ ქენქაძე და სირაძე, მეორეში — როსტომაშვილი და გაბოძე. 5 მოჭიდავე გვეყოლება პირველ საშუალო წონაში — მაკასარაშვილი, გოგოლიშვილი, წიკლაური, ოქროპირიძე და ხალიევი, მეორე საშუალოში — ხაბელოვი და თურმანიძე. ქვემძიმე წონა — ყურაშვილი, გალდავა, მძიმე — ტარიელაძე, თურმანიძე... მოსალოდნელია ცვლილებებიც.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოვლენ გიგაური, ხუტაბა და ხაბელოვი.

• • •

კიდევ ოთხიოდე დღეც და კვლავ ახმაურდება თბილისის სპორტის სასახლე, კვლავ შეავსებენ ტრიბუნას ჭიდაობის გულშემატკივრები, მოვლენ იმ იმედით, რომ გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე თანამემამულეებსაც იხილავენ. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ავტორიტეტული შეჯიბრება გახლავთ, მაგრამ ჩვენი ფიქრები, პირველ ყოვლისა, ისევ და ისევ სპარტაკიადისკენაა მიმართული. სწორედ აქ, თბილისში უნდა გამოჩნდეს, ვის რა შეუძლია და ვინ როგორ ემზადება მომავალი დიდი გამოცდისათვის.

ბ.. ელბუჯაური.

• • •

სურათებზე, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ე. ხუცურაულმა გადაიღო, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ვარჯიშის მომენტებია აღბეჭდილი.

„ნივას“ — „ვერცხლი“

საბჭოთა ავტომანქანა „ნივას“, რომელსაც სეზონის ურთულეს მარათონულ რალში — „პარიზი-დაკარი“ (10.000 კმ) ფრანგული ეკიპაჟი — ანდრე ტროსა-ერიკ ბრიეუანი მართავდა, წილად ხვდა მეორე პრიზიორის საპატიო წოდება. პირველობა კი ბელგიელმა ჟეკი იქსმა მოიპოვა შტურმანთან — ფრანგული კინოს ვარსკვლავ კლოდ ბრასართან ერთად. ისინი „მერსედესით“ გამოდიოდნენ. მესამე ადგილზეა ფრანგული წყვილი — პ. ლარტიკ—პ. დეტაია („რეინჯ-როვერი“). მოტომრბოლთა შორის უძლიერესია ფრანგი ხ. ერიოლი — „ბმვ“.

„პარიზი-დაკარის“ ბოლო რალის სტარტზე პარიზის თანხმობის მოედანზე 200-მდე ავტომრბოლი და 110 მოტოციკლისტი დადგა. ფინიშამდე კი 28 მოტოციკლმა და 60 ავტომანქანამ მიაღწია.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

ეს სურათები ჩვენმა გეორგიევსკელმა ფოტოკორესპონდენტმა **პეტრე კრასოვსკიმ** გამოგვიგზავნა.

პირველი გადაღებულია მორბენლის საკავშირო დღეს გეორგიევსკის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე, გამარჯვების სახელს რომ ატარებს — ამანათრბენის სტარტი 4X100 მეტრზე.

მეორე სურათზე გამოსახულნი არიან გეორგიევსკელი მორიკავენი — ქალაქის ნაკრები, რომელიც მთლიანად ვ. ი. ლენინის სახელობის არმატურის ქარხნის სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. გუნდი სტავროპოლის მხარისა და სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს არაერთგზის ჩემპიონია. აი, ისინიც, გეორგიევსკელი მორიკავენი (მარცხნიდან სპორტის ოსტატი ი. კორმუშკინი (გუნდის მწვრთნელი), ოსტატობის კანდიდატი ინჟინერი ს. არჩაკოვი, ზეინკალი სპორტის ოსტატი ბ. გორდეევი, მექანიკოსი პირველთანრიგოსანი ვ. გუდენკო, ტექნოლოგი სპორტის ოსტატი კ. კარნაუხოვი, საპრესო საამქროს ოსტატი სპორტის ოსტატი ვ. ჩერნოივანოვი, ინჟინერ-კონსტრუქტორი სპორტის ოსტატი ვ. შევლიაკოვი.

ვახტანგ გორგასალი, ნანი ბრეგვაძე, დავით ყიფიანი...

სხვადასხვა ეპოქა, სხვადასხვა „ჟანრი“. მართლაც საკვირველია, არა?

მაგრამ, როგორც იტყვიან, „საკვირი უბრალოდ იღება“ — სამივეს სახე ერთმა მხატვარმა — გეორგიევსკელმა **ნიკოლოზ ივანეს ძე ლარინსკიმ** შექმნა. გასულ წელს ჩვენ უკვე ვწერდით ამ ნიჭიერი მხატვრის შესახებ, მოვუთხრეთ მკითხველებს, თუ როგორ შემთხვევით აღმოვაჩინეთ იგი ქართველთათვის (მერე ამ „აღმოჩენას“ გეორგიევსკელმა გაზეთმა „ლენინსკაია პრავდამ“ ჟურნალისტ გენადი სალიმოვის ჩანახატი მიუძღვნა), ხოლო მისი სახლის ზღურბლს მას შემდეგ ვინ იცის რამდენმა ქართველმა სტუმარმა გადააბიჯა — თბილისელმა, გორელმა, ქუთაისელმა, თელაველმა...



ეს სამოცდაათი წლის სანდომიანი კაცი პირდაპირ შეყვარებულია საქართველოზე, მის ხალხზე, ბევრი ფერწერული ტილო შექმნა ისე, რომ... საქართველოში არ ყოფილა.

— ჩემი ოცნებაა ვეწვიო თქვენს მზიურ რესპუბლიკას, ერთხელ მაინც გავიარო შოთა რუსთაველის პროსპექტზე — ცოტა არ იყოს დანაღვლიანებული გვეუბნებოდა გეორგიევსკში სტუმრად ჩასულებს.

მაშინ მხოლოდ ის მოვახერხეთ, რომ პატარა ბარათების სახით თბილისის ხედები გვესახსოვრებინა მისთვის. საჩუქარმა განუზომლად გაახარა მხატვარი.

— ახლა კი ნამდვილად ჩამოვალ თბილისში, ყველას უამბეთ, რომ გეორგიევსკში კიდევ ერთი „ქართველი“ — ნიკოლოზ ლარინსკი ცხოვრობს — გვითხრა გამომშვიდობებისას მასპინძელმა.

მხცოვანმა მხატვარმა აისრულა ოცნება. იგი შემოდგომაზე ჩამოვიდა თბილისში, სტუმრად იყო „ლელოს“ რედაქციაშიც. რამდენიმე ნამუშევარი გვაჩუქა: მათ შორის „ფეხბურთელები“ და „მოციგურავე“. მერე მისი საყვარელი ფეხბურთელის, დავით ყიფიანის სურათი გვთხოვა — მინდა დავხატო ტყავის ბურთის ეს დიდოსტატიო.

და აი, ორიოდე დღის წინათ ჩვენმა რედაქციამ გეორგიევსკიდან მიიღო ლარინსკის მიერ გამოგზავნილი დავით ყიფიანის პორტრეტი. — ეს დიდი ფერწერული ტილოს პატარა ასლიაო, — გვაცნობდა წერილის ავტორი. — ჩვენთან ყველას მოსწონს, მაგრამ მე უფრო დათოს თანამემამულეთა შეფასება მაინტერესებს, არ ვიცი ჰგავს თუ არაო ეს პორტრეტი ნამდვილ ყიფიანს?

შემდეგ ნ. ლარინსკი წერდა, რომ საქართველოზე უკვე 30-მდე ფერწერული სურათი დაუგროვდა, მათ შორის „გეორგიევსკის ტრაქტატი“ (რამდენიმე ვარიანტი), „ვერიკო ანჯაფარიძე“, „ვახტანგ გორგასალი“, „ნანი ბრეგვაძე“, „თბილისური შადრევანი“, „სვანეთი“, „ზაჰესი“, „შემოდგომა საქართველოში“, „საქართველოს ასული“, „ძველი თბილისის ქუჩა“ და სხვა.

მხატვარი ნ. ლარინსკი აპირებს მაისში მოაწყოს საკუთარი ნამუშევრების გამოფენა.

— მინდა თქვენი ბაკურიანიც დავხატო, გთხოვთ გამომიგზავნოთ ფოტოსურათები ამ „თეთრ მარგალიტზე“, ეგებ მოვასწრო გამოფენისათვის კიდევ რამდენიმე ტილოს შექმნა ქართველ მოთხილამურეებზე — სლალომისტებზე, მხტომელებზე!

... გუშინ „ლელოს“ რედაქციიდან გეორგიევსკში, ლერმონტოვის ქუჩა №111 სახლის მისამართით დიდი კონვერტი გაიგზავნა. კუთხეში აქვს წარწერა: „ფრთხილად, ფოტოა!“



ო. ნოზაძე.

• • •

სურათებზე: მხატვარ ნ. ლარინსკის ნამუშევრების ფოტორეპროდუქციები (მარცხნიდან) „დავით ყიფიანი“, „ფეხბურთელები“ და „მოციგურავე“.



ყურადღება: მოზარდი!

„ლელოს“ მრგვალ მაგიდასთან

მიეცით ბავშვებს ასპარეზი!

ადამიანი კეთილ საქმეთა შემოქმედადაა დაბადებული. ამ საქმეთა შორის მოზარდ თაობაზე ზრუნვა ერთი უპირველესი და უმთავრესია. აღვზარდოთ სულიერად მდიდარი, ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობა — ეს მოწოდება დღეს ისე აქტუალურია, როგორც არასდროს.

ჩვენს ახალგაზრდობაზე ძვირის სათქმელად ენა არ მოგიბრუნდება კაცს — ქვეყნის მომავალი სამაგალითოა სწავლაში, შრომაში, სპორტში... მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ ზოგჯერ საქმე გვაქვს ანომალიასთან — მოზარდმა გული აიცრუა სწავლაზე, სახლში ვერ ჩერდება, ქუჩას დაუმეგობრდა, დანაშაულიც ჩაიდინა... როგორ მოვიქცეთ? რით დავაინტერესოთ ბავშვი? სად არის გამოსავალი?

ეს, როგორც იტყვიან, ის „წყევლა-კრულვიანი“ საკითხებია, რომელიც ერთნაირად უნდა აღელვებდეს და აღელვებს კიდეც საზოგადოების ყველა წევრს, რადგან საქმე ეხება ჩვენი ზრუნვის მთავარ ობიექტს — **მოზარდს.**

რა როლი ეკისრება სპორტს ბავშვთა სწორად აღზრდის საქმეში. როგორ შეიძლება, რომ ეგრეთწოდებული ძნელადაღსაზრდელი სპორტში ჩაბმით თვინიერ ბავშვად ვაქციოთ—ამ საკითხებზე დღეს „ლელოს“ „მრგვალ მაგიდასთან“ საუბრობენ თბილისის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **ლიანა შეწირული,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **თამაზ შავგულიძე,** სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ბორის პაიჭაძე,** სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **დავით ყიფიანი** და „ლელოს“ კორესპონდენტი **ნანა ჯოხარიძე.**

● დანაშაული, ვის მიერაც უნდა იყოს ის ჩადენილი, სავალალოა საზოგადოებისთვის, მაგრამ უფრო ძნელად ვეგუებით ხოლმე არასრულწლოვანის გზიდან გადაცდენას. დანაშაულის თავიდან აცილების მრავალი საშუალება არსებობს — მშობლიური, თბილი, მყუდრო და საქმიანი ატმოსფერო ოჯახში, ბავშვის დაინტერესება ხელოვნების ამა თუ იმ დარგით, ინფორმაციის ათასგვარი საშუალებით. ახლა ბევრს ლაპარაკობენ სპორტის როლზეც მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, იმაზე, თუ როგორ შეიძლება გადაარჩინოს სპორტმა მოზარდი და საზოგადოება, შეამციროს პოტენციურ დამნაშავეთა რიცხვი. ბატონო თამაზ, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება თქვენი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ იხსნის სპორტი მოზარდებს სამართალდამრღვევის საშინელი ხვედრისგან, მაგრამ არანაკლებ საგულისხმოა ის მიზეზები, რომელიც არასრულწლოვანის დამნაშავედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. იქნებ აქედან დაგვეწყო.

თამაზ შავგულიძე: არასრულწლოვანთა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა შესწავლამ დაგვანახა, რომ დანაშაულის მიზეზები უფრო ფსიქოლოგიურ სფეროს განეკუთვნება, ვიდრე ეკონომიკურს ან სოციალურს. მიზეზები რამაც იმოქმედა ფსიქიკაზე და გამოიწვია ის, რომ ბავშვი ძნელადაღსაზრდელი და ზოგჯერ დამნაშავეც გახდა, უნდა ვეძიოთ იმ შეცდომებში, რომლებიც ოჯახსა და სკოლაში მშობლებმა, მასწავლებლებმა თუ საზოგადოებრივმა აღმზრდელებმა დაუშვეს.

უკვე სასკოლო ასაკიდან მოყოლებული ბავშვი განიცდის სწრაფ სოციალიზაციას, განსაკუთრებით იღვიძებს თვითკონტროლის უნარი, რომელიც შეუძლებელია განვითარდეს მისი „მე კონცეფციის“ ჩამოყალიბების გარეშე. „მე კონცეფციის“ ჩამოყალიბების დროს არასრულწლოვანი მტკივნეულად განიცდის მცირე უარყოფით შეფასებასაც კი, დამცირებას მშობლების, მასწავლებლების, ამხანაგებისგან. ასეთ პირობებში მას უყალიბდება დაბალი წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, რასაც ვერ შეეგუება, ვერ დაუშვებს. სწორედ იმის გამო, რომ ბავშვს ამცირებენ, არ აღიარებენ ოჯახსა და სკოლაში, იგი ბუნებრივად ეძებს ისეთ მიკროსოციალურ ჯგუფს, სადაც მისი „მე“ აღიარებული იქნება. ხშირად ასეთად გვევლინება ქუჩაში ჩამოყალიბებული დამნაშავეთა მიკროსოციალური ჯგუფი, რომელიც მოზარდისთვის ეტალონი ხდება. როგორც კი მოზარდი მას თავის ეტალონად აღიარებს, იქ გაბატონებულ სოციალურ ღირებულებებს თავის ღირებულებებად მიიჩნევს და მოექცევა ეგრეთ წოდებულ „ქურდული“ ტრადიციებისა და შეხედულებების ტყვეობაში. ამის შემდეგ ბავშვის გამოსწორება უკვე ძნელდება, რადგან სკოლისა და ოჯახის დამოკიდებულება მის მიმართ კიდევ უფრო მწვავდება, ხოლო მისი „მე“ დანაშაულებრივ ჯგუფში, მისი რწმენით, თანდათან მაღლდება.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთ პირობებში დანაშაულის მიზეზად იქცევა ეგრეთ წოდებული პრესტიჟული მოთხოვნილება, იმის მოთხოვნილება, რომ მოზარდმა მიიღოს აღიარება მისთვის ეტალონად მიჩნეულ ჯგუფში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ სპორტში ჩაბმას დიდი როლის შესრულება შეუძლია მოზარდის ჩამოყალიბებაში. მართალია, უკვე ქურდობის და ხულიგნობის გზაზე დამდგარი მოზარდი ძნელია შემოაბრუნო სპორტით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სპორტით გატაცებული მოზარდი, მით უმეტეს, თუ წარმატებებიც აქვს, თითქმის არასდროს ან ძალზე იშვიათად ადგება დანაშაულის გზას. ამდენად, სპორტს ადრეული პროფილაქტიკის მნიშვნელობა აქვს.

ბორის პაიჭაძე: შესაძლოა ჩემი საუბარი ამ საკითხის ირგვლივ ნაკლებად კომპეტენტური იყოს, მაგრამ მაინც მგონია, რომ სკოლა ჯერ კიდევ არასაკმარის ყურადღებას უთმობს ბავშვებთან აღმზრდელობით მუშაობას.

როგორი ბავშვები ხვდებიან ქუჩაში? ძირითადად ისინი, ვინც, ასე ვთქვათ, „აწეწილ“ ოჯახებში იზრდებიან: მშობლები დაშორებული არიან ან გაუთავებლად კინკლაობენ და ბავშვებისთვის არ სცალიათ. ასეთ დროს ბავშვი ეჩვევა ქუჩაში ხეტიალს, უსაქმურობას, გაკვეთილების გაცდენას. სწორედ ამ დროს სცოდავს სკოლა. რბილად რომ ვთქვათ, შეუწყნარებელია წავუყრუოთ ბავშვის სკოლაში გამოუცხადებლობას, რეაგირება არ მოვახდინოთ წესრიგის უმნიშვნელო დარღვევაზეც კი.

● უკანასკნელ ხანს ხშირად ვჩივით იმაზე, რომ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები არ ტარდება სასურველ დონეზე, ზოგჯერ „ცდება“ კიდეც სხვა საგნების სასარგებლოდ. ბავშვებიც გულს იცრუებენ და ფიზკულტურის გაკვეთილს „ზედმეტ ბარგად“ მიიჩნევენ...

ლიანა შეწირული: 80-იანი წლების ახალგაზრდობას განსაკუთრებულ ეპოქაში უხდება ცხოვრება. ჩვენი ყოფის აჩქარებული ტემპი და რიტმი ზემოქმედებას ახდენს მოზარდის არა მარტო ფსიქიკასა და ცნობიერებაზე, კვალს აჩნევს მის ფიზიკურ განვითარებასაც. ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, დიდია სპორტის როლი ახალგაზრდის ჰარმონიულად აღზრდის საქმეში.

ორი აზრი არ არსებობს: ყველა ეპოქის ახალგაზრდობას უყვარდა სპორტი. მახსოვს, ჩემი მოწაფეობის პერიოდში, 40-იან წლებში, ფიზკულტურის მასწავლებელი ყველაზე საყვარელი და პოპულარული მასწავლებელი იყო სკოლაში, მასთან მეგობრობდნენ უფროსკლასელი ვაჟები. დღეს კი ჩვენს სკოლებს ძალზე უჭირს. არც ერთ დისციპლინაში არ განვიცდით ისეთ სიძნელეს, როგორც ფიზმომზადებაში. გასაკვირი კია, რაც უფრო ბევრს ვლაპარაკობთ ამ პრობლემაზე, მით უფრო რთულდება საქმე — ფიზკულტურის მასწავლებლები წლითიწლობით გვაკლდება. სკოლებში სისტემატურ ხასიათს არ ატარებს სექციური მუშაობა.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში ჩვენს სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა დავით მაღალთაძემ. მისი მოსვლა დაეტყო სკოლას, ბავშვები სიხარულით შედიან ფიზკულტურის გაკვეთილზე, სულ მალე კალათბურთის სპეციალიზებული ჯგუფიც გვექნება, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია — ზოგიერთ სკოლაში თითო-ოროლა კარგი მასწავლებლის გამოჩენა საქმეს ვერ უშველის, საჭიროა ყველა სკოლაში გვყავდეს ბავშვებზე და თავის საქმეზე გულით შეყვარებული მასწავლებლები და მაშინ წარმატებებიც გვექნება.

დავით ყიფიანი: ახლა, როცა ასე ხშირად ვლაპარაკობთ სპორტის მასობრიობაზე, მის დანერგვაზე ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ალბათ არ არის საკმარისი კვირაში ერთი ფიზკულტურის გაკვეთილი. ამ დღეებში თბილისის ერთ-ერთმა სკოლამ მთხოვა ყოველ შაბათს ჩავატარო ფიზკულტურის გაკვეთილი, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. დარწმუნებული ვარ პატარებს ძალზე გაეხარდებათ, თუ მათთვის საინტერესო ამბებს მოვუყვები, ფეხბურთის ელემენტარულ წესებს ვასწავლი. ვფიქრობ, ვეტერანი თუ აქტიური სპორტსმენების ბავშვებთან სიახლოვეს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მოზარდი თაობისთვის. სამწუხაროდ, სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევთ ჩვენივე სახელობის კლუბებს — ხშირად რომელიმე ერთ შეჯიბრებაზე დასწრებით და პრიზის გაცემით ვკმაყოფილდებით, არადა, სწორედ ამ კლუბებს სჭირდება ჩვენი თანადგომა, რადგან კარგ ბავშვებთან ერთად აქ თავს იყრიან ქუჩისკენ მომზირალი მოზარდებიც.

ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობის მრავალგვარი ფორმა არსებობს. აქედან ყველაზე სანდო საშუალებაა მათი სპორტში ჩაბმა. ბავშვები დიდი ინტერესით და სიხარულით ხვდებიან ძველ სპორტსმენებს, სიამოვნებით უყურებენ დოკუმენტურ ფილმებს მათზე... მრავალი წლის დაკვირვება და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ ბავშვებს სპორტით დავაინტერესებთ, მას თითქმის აღარ დარჩება ქუჩაში სახეტიალო დრო.

● ბავშვების მოსაზიდად, მათი თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების მიზნით არსებობს დღის გახანგრძლივებული სკოლები, პიონერთა სახლები, საბინაო-საექსპლოატაციო უბნები, სპორტული სკოლები, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ყველა ბავშვს ვერ სწვდებიან. გამოდის, რომ ბავშვების ერთი ნაწილი მაინც უმეთვალყურეოდ გვრჩება. როგორ ვიპოვოთ გამოსავალი?

ბორის პაიჭაძე: არსებობს სპეციალური დადგენილება: არც ერთი საცხოვრებელი სახლი არ აშენდეს სპორტული მოედნის გარეშე. მაგრამ ეს დადგენილება ჯერჯერობით არ სრულდება. თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს დედაქალაქში, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. არადა, ცხადზე უცხადესია: ბავშვს თუ ეზოში ექნება სავარჯიშო ადგილი, ქუჩისკენ აღარ გაუწევს გული. ამიტომ გამოსავალი ერთია: ყოველ ახალ კვარტალში სპორტული მოედანიც უნდა შენდებოდეს. მერე კი უთუოდ გამოჩნდება ენთუზიასტი, ვინც ბავშვებთან იმუშავებს.

● აქ ითქვა, რომ სპორტით დაკავებული მოზარდი, მით უმეტეს, თუ წარმატებაც აქვს, თითქმის არ ფიქრობს სხვა ასპარეზზე გამოიჩინოს თავი. მაგრამ თუ ბავშვი მხოლოდ „საკუთარ ჭიას ახარებს“, თავისთვის დასდევს ბურთს, თავის ტოლებს ეჭიდავება ან უსწრებს სირბილში... აქაც ხომ არსებობს იმის საშიშროება, რომ გარკვეული წარმატების უქონლობის გამო, იმის გამო, რომ მას, როგორც „სპორტსმენს“, არ აღიარებენ, მოზარდს სპორტზეც გული აუცრუვდეს?

თამაზ შავგულიძე: თუ საკითხს ასე დავსვამთ, აქვე უნდა გავარკვიოთ ის, თუ როგორი სპორტი გვინდა ჩვენ? რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, მასობრივი, მაგრამ მასობრივი არა მხოლოდ სპორტში ჩაბმულ ბავშვთა რაოდენობით, არამედ იმითაც, რომ ბავშვებს ჰქონდეთ საშუალება მასობრივად გახდნენ მიკროსპორტული შეჯიბრებების ჩემპიონები და პრიზიორები. ამგვარი მიკრო და მაკროშეჯიბრებების მოწყობა კი სასურველია უკვე მესამე კლასიდან. იგი უნდა ტარდებოდეს კლასის პირველობაზე, კლასებს შორის პირველობაზე, სკოლებს შორის პირველობაზე და ა. შ. გამარჯვებულებს უნდა ეძლეოდეთ სიგელი, ვიმპელი ან სკოლის დირექტორის მიერ ხელმოწერილი რაიმე საბუთი.

შეჯიბრების ამგვარად მოწყობის შემთხვევაში ძალიან ბევრ ბავშვს ექნება საშუალება მიიღოს აღიარება. ეს იქნება აღიარება მიკრომასშტაბით, მაგრამ მაინც აღიარება, რაც დადებითად იმოქმედებს მისი „მე“-ს ჩამოყალიბებაზე.

დავით ყიფიანი: ყველამ ვიცით რა კარგად მოფიქრებული, საინტერესო საბავშვო სპორტული შეჯიბრებები ეწყობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გარდა იმისა, რომ მასში ერთდროულად უამრავი ბავშვი მონაწილეობს, კიდევ მეტი მაყურებელი ჰყავს, რაც არანაკლებ სასარგებლოა, რადგან, იმ პატარას, რომელიც დღეს მაყურებელთა ტრიბუნაზე ზის, შეუძლებელია სურვილი არ გაუჩნდეს ხვალ თავადაც იასპარეზოს. სამწუხაროდ, ჩვენი ზოგიერთი მშობელი სპორტს მერკანტილური თვალსაზრისით აფასებს, იგი სჭირდება სანამ მისი შვილი „სპორტსმენთა სიით“ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდება. ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ ასეთებს, რომ სპორტი უპირველესად ჩვენი შვილების ჯანმრთელობისთვის, მათი კეთილდღეობისთვის არსებობს და ამიტომ სპორტით მათი გატაცების ხელოვნურად დამუხრუჭება, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაული იქნება, ამიტომ, მართალია, ხშირად გვიჭირს, მაგრამ მაინც უნდა მოვიცალოთ, ვიპოვოთ დრო და გავიყვანოთ ჩვენი შვილები ქალაქგარეთ, ვაჩვენოთ სპორტული შეჯიბრებები, მივცეთ საშუალება თავადაც მოსინჯონ ძალა. თუ დიდი სპორტსმენები გახდებიან, ხომ კარგი, თუ არა და — სასიკეთო საქმეს მაინც გავაკეთებთ — გავზრდით ჩვენთვის და სამშობლოსთვის საიმედო ჯანსაღ, ფიზიკურად და ზნეობრივად სრულყოფილ ახალგაზრდა თაობას.

სპორტული სიმწიფის კარიბჭესთან

მ. ბერუაშვილი:

„ვსაზრდოობ ქართული ჭიდაობით“

არის ქარელის რაიონში ლამაზი სოფელი, ფცას ეძახიან. ერთი „განუკურნებელი სენი“ სჭირთ ოდითგანვე აქაურებს: დიდი თუ პატარა ჭიდაობის ტრფიალია. იციან ქართული ჭიდაობის ყადრი. თაყვანს სცემენ მას და ბავშვივით ელოლიავებიან...

პატარაობიდან თითქოს არაფრით გამოირჩეოდა თანატოლებისაგან, ეგ იყო, რომ ძალა ერჩოდა. შეიკრიბებოდნენ ბიჭები სოფლის ბოლოს და დიდებს ჰბაძავდნენ. ხშირად იმარჯვებდა. გამარჯვებასთან ერთად თანდათან რწმუნდებოდა ფიზიკურ მონაცემებში, ფიქრობდა და იმედიც ჰქონდა, მოჭიდავე გამოვიდოდა. ბიძა ჰყავდა განთქმული ფალავანი, სწორედ დურმიშხან ბერუაშვილმა ჩაუნერგა ამ ვაჟკაცური სპორტის სიყვარული პატარა მალხაზს და ბიჭიც გვარის კვალს გაჰყვა.

მეცხრე კლასში იყო, როცა საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. ძიუდომ გაიტაცა. თავისი კერპიც ჰყავდა — შოთა ჩოჩიშვილი. გაუმართლა — ბიძინა მაზიაშვილს მიაბარეს. გავა ხუთიოდე წელიწადი და მ. ბერუაშვილი იტყვის: „თუკი რაიმეს მივაღწიე სპორტში, ყველაფერი ჩემი მწვრთნელის დამსახურებაა“.

სამადლობელო მართლაც ბევრი ეთქმის ახალგაზრდა სპორტსმენს, რადგან 21 წლის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ევროპის ახალგაზრდული პირველობის ვერცხლის პრიზიორი, ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი, საქართველოს აბსოლუტური ფალავანი... ამ ასაკში ასეთ შედეგებზე ბევრი ოცნებობს.

ჩვენი სახელოვანი ფალავნების უმეტესობა ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. მალხაზმაც აქედან დაიწყო, მაგრამ ბევრისაგან განსხვავებით მშობლიური ჭიდაობის „ღალატი“ გულში არასოდეს გაუვლია. გავიხსენოთ საქართველოს აბსოლუტური პირველობა, სადაც მ. ბერუაშვილი არაერთხელ გამოსულა და წარმატებითაც. ის ხომ 1979 წლისა და 1982 წლის მიწურულს გამართული ტურნირების უძლიერესი ფალავანია.

„ქართული ჭიდაობა ძალიან მიყვარს, — ამბობს მალხაზი. — ვცდილობ დავიწყებას არ მივცე და სწორედ ამიტომ არ ვამბობ უარს გამოვიდე ამ საინტერესო ასპარეზობაზე. მიმაჩნია, რომ ასე უნდა იქცეოდეს ყველა, ვინც ამ სახეობაში წარმატების მიღწევაზე ფიქრობს. ერთი შენიშვნაც მაქვს ტურნირის ორგანიზატორებისადმი. ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ სჯობს იგი სხვა სისტემით ჩატარდეს. თუ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ან ძიუდოისტთა ტურნირი რამდენიმე დღეს გრძელდება, რა იქნებოდა, ქართული ჭიდაობისათვის დილა და საღამო მაინც დაგვეთმო“.

მეხსიერებაში ახლანდელი ტურნირის პეპქრობები წამოტივტივდა. იყო დაძაბული ორთაბრძოლები გზირიშვილთან, ნუგზარაშვილთან, ყურაშვილთან, მუთ[illegible]თან, ხანმოკლე ფინალი [illegible]თან. მერე მოვიდა სიხარული, გამარჯვების სიხარული, იყო აპლოდისმენტები, [illegible] ფცა ზეიმობდა [illegible].

განსაკუთრებით ნუგზარიშვილთან გაუჭირდა ჭიდაობა... ისე კი ყველაზე ძნელი ორთაბრძოლა 1980 წელს, თბილისის ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე ჰქონდა. მაშინ მ. ბერუაშვილმა თვით დიტმარ ლორენცი დაამარცხა. დღემდე მალხაზიც იმ ძნელ ბრძოლას საუკეთესოთა რიცხვს მიაკუთვნებს. მართლაც, ბევრი ვერ დაიკვეხნის სახელოვან გერმანელ ძიუდოისტთან გამარჯვებას.

1982 წელი ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტისათვის (ძიუდოს სპეციალობა) განსაკუთრებით იღბლიანი გამოდგა: მოიგო ახალგაზრდული თამაშები, გახდა ახალგაზრდებში სსრ კავშირის ჩემპიონი, გაიმარჯვა საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე. ყველაფერ ამას ოჯახური ბედნიერებაც დაემატა, ვაჟიშვილი შეეძინა. და ბოლოს ერთი სასიხარულო ამბავიც: სპეციალისტთა გამოკითხვის შედეგად მ. ბერუაშვილი საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენთა სიაში მოხვდა.

მოდით, წარმატებები ვუსურვოთ ახალგაზრდა და უდავოდ პერსპექტიულ სპორტსმენს წლევანდელ სასპარტაკიადო სეზონშიც!

ნ. გიორგაძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ფედერაციები— მოქმედებაში

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა აჭარის მძლეოსანთა აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა აჭარის ფედერაციის პრეზიდიუმის, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის ანგარიში.

კრებაზე აღინიშნა ფედერაციისა და მსაჯთა კოლეგიის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებაში არსებული ჩამორჩენის მიზეზები, სპორტული ბაზების მუშაობის ხარვეზები.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დაისახა გარკვეული ღონისძიებები. კერძოდ გათვალისწინებულია „დინამოს“ სტადიონზე არსებული რესტორნის ადგილზე ზამთრის მანეჟის მოწყობა.

პლენუმზე არჩეული იქნა აჭარის მძლეოსნობის ფედერაციისა და მსაჯთა კოლეგიის ახალი შემადგენლობა.

ტურნირები ქარხანაში

კასპის ქარხანა „ელექტროაპარატში“ გაიმართა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, შაშსა და ჭადრაკში. დიდი ინტერესი გამოიწვია შიდასაქარხნო ფალავნობამ ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც 27 სპორტსმენი მონაწილეობდა.

70 კგ-მდე წონით კატეგორიაში ყველა შეხვედრა მოიგო და ფალავანი გახდა მექანიკური საამქროს შემდუღებელი ნ. ხუციშვილი, II ადგილი დაიკავა შემფუთავი უბნის მუშამ მ. ბუნტურმა, III — მექანიკური საამქროს მუშამ გ. ჩარაშვილმა.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ფალავანთა ფალავანი გახდა მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატი ლ. ხორბალაძე. II ადგილზე გავიდა ამწყობი საამქროს ზეინკალი მ. საგიაშვილი, ხოლო III — საკომპლექტაციო უბნის მუშა ვ. დალაქიშვილი. საუკეთესო ტექნიკისათვის დაწესებული პრიზი დაიმსახურა ლ. ხორბალაძემ.

მოშაშეთა პირველობაზე გაიმარჯვა ამწყობი საამქროს უფროსის მოადგილემ ა. შალუტაშვილმა, II ადგილზეა ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. ნიპარიშვილი, III იყო საიზოლაციო საამქროს უფროსის მოადგილე ჯ. მახარაშვილი.

ჭადრაკში ჩემპიონი გახდა მ. ბოჭორაძე — პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე, II ადგილზე გავიდა გ. ნიპარიშვილი, თანაბარ ქულათა რაოდენობა მოაგროვა სამმა მონაწილემ — მ. მგელაძემ, გ. ფარემუზაშვილმა და პ. კიტრიაშვილმა. III ადგილი კოეფიციენტის მიხედვით მიეკუთვნა ამწყობი საამქროს უფროსს პ. კიტრიაშვილს.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით.

ა. ხუციშვილი.

ადგილებიდან გვატყობინებენ

მზადების ნიშნით

გორში 7 დღეს მიმდინარეობდა საქალაქო სპარტაკიადა კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში და შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკის“ და განათლების განყოფილების 100 სპორტსმენი.

ოთხივე სახეობათა ჯამში გაიმარჯვეს ბურევესტნიკელებმა. მეორე და მესამე საპრიზო ადგილები „სპარტაკისა“ და „განთიადის“ წარმომადგენლებმა გაინაწილეს.

ცალკეულ სახეობათა მიხედვით შეჯიბრება ასე წარიმართა: კალათბურთი — მეორე ადგილი წილად ხვდა „სპარტაკს“, მესამე— განათლების განყოფილების გუნდს; ფრენბურთი — მეორე ადგილი აქაც სპარტაკელებმა დაიკავეს, მესამეზე გავიდნენ „განთიადის“ წარმომადგენლები; მაგიდის ჩოგბურთი — მეორე ადგილი მოიპოვეს განთიადელებმა, ხოლო მესამე სპარტაკელებმა; შაშში — მეორე ადგილი ერგო „სპარტაკის“, მესამე — განათლების განყოფილებას.

გამოვლინდნენ პერსპექტიული სპორტსმენები, მათგან დაკომპლექტდება ის ნაკრები გუნდები, რომლებიც VII რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში იასპარეზებენ.

ი. თევდორაშვილი.
(„ლელოს“ კორ.).

რამდენიმე საათით — მშვენიერების სამყაროში

იმ საღამოს ახალგაზრდა მეცნიერთა მყუდრო კლუბში შეკრებილნი მოხერხებულ სავარძლებში ჩაფლულიყვნენ და... თვალშეუდგამ მწვერვალებზე „ადიოდნენ“. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიდა კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზე გადაღებული ფერადი სლაიდები.

— ჩვენთან ხშირად იკრიბებიან ახალგაზრდა მეცნიერები, — გვიამბობს კლუბის დირექტორი თ. ლომაძე. — ისინი მსჯელობენ, კამათობენ, ხვდებიან სწავლულებს და აზრს უზიარებენ ერთმანეთს. საინტერესო შეხვედრები იმართება საქვეყნოდ ცნობილ სპორტსმენებთანაც. ახალგაზრდა მეცნიერები აქ შეხვედრიან ვეტერან სპორტსმენებს, უსაუბრიათ ნონა გაფრინდაშვილთან... დღეს კი ჩვენი სტუმარია ცნობილი მთამსვლელი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ტარიელ ლუკაშვილი.

იმ საღამოს ლუკაშვილმა შეკრებილთ მოუთხრო კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზე თავისი ასვლების შესახებ. გაიხსენა თანაგუნდელებიც: თ. ბაქანიძე, ი. გელდიაშვილი, რ. გიუტაშვილი, გ. ზუმბაძე, დ. თარხნიშვილი, გ. ქართველიშვილი, დ. შარაშენიძე, მ. ჭიჭინაძე და სხვები. განსაკუთრებით საინტერესო იყო პამირის ურთულეს მწვერვალ „ტაჯიკეთის უნივერსიტეტის სახელობის პიკზე“ ასვლის გახსენება. ამ მწვერვალიდან ქართველმა მთამსვლელებმა ხომ ოქროს მედლები ჩამოიტანეს.

არანაკლებ საინტერესო იყო ინდოეთში მოგზაურობის ამსახველი ფირის ჩვენება, რომელსაც თან ახლდა ავტორის კომენტარი.

ამ ფრიად საინტერესო შეხვედრის დასასრულს თ. ლომაძემ სტუმარს გადასცა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის მუდმივი წევრის მოწმობა.

ა. რაჭველიშვილი.

● ჭადრაკი ● შაში

პირველი სხდომა

გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა.

პრეზიდიუმის წევრებმა მოისმინეს ფედერაციის თავმჯდომარის, მფრინავი-კოსმონავტის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ვ. სევასტიანოვის და პრეზიდიუმის წევრის ნ. ზახრიაპინის გამოსვლები. სევასტიანოვმა ილაპარაკა ლვოვისა და სვერდლოვსკის ახალი საჭადრაკო კლუბების გახსნაში თავისი და მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის მონაწილეობის შესახებ, ზახრიაპინმა კი ისაუბრა ტიუმენის დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობებზე დიდოსტატ ა. იუსუპოვთან ერთად სტუმრობაზე.

პრეზიდიუმმა მოისმინა და დაამტკიცა სსრ კავშირის ქალთა 42-ე ჩემპიონატისა და სსრ კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის შედეგები, დასახა 1983 წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმა.

პრეზიდიუმმა კომისიების თავმჯდომარეებად აირჩია: მსაჯთა საკავშირო კოლეგიის — ი. ავერბახი, საკვალიფიკაციო კომისიის — ლ. პოლუგაევსკი, მწვრთნელთა საბჭოს — ი. ბალაშოვი, ბავშვთა და ჭაბუკთა კომისიის — ვ. სმისლოვი, საერთაშორისო სპორტული კავშირების კომისიის — ნ. კროგიუსი, პროპაგანდისა და ბეჭდვითი სიტყვის — ა. როშალი, ქალთა კომისიის — ვ. ტიხომიროვა, ჭადრაკის მასობრივი განვითარების — ნ. მალიშევი, სპორტული ეთიკის კომისიის — პროფესორი ფ. კონსტანტინოვი, კომპოზიციის ცენტრალური კომისიის — ვ. ჩეპიჟნი, დაუსწრებელი შეჯიბრების კომისიის — პროფესორი ვ. ზაგოროვსკი.

სპეციალური საჭადრაკო

საქართველოს სპორტკომიტეტი და რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაცია შარშან შემოდგომაზე გამართულ ქალთა მსოფლიო პირველობის თბილისის საზონათშორისო ტურნირს, სსრ კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატის პირველ ლიგასა (მას თელავი მასპინძლობდა) და სსრ კავშირის ქალთა 42-ე ჩემპიონატს, რომლებშიც საქართველოს მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ, უძღვნიან სპეციალურ საჭადრაკო ბიულეტენს — „შახმატნი თბილისი“ (რედაქტორი თ. გიორგაძე) რომლის 20 ნომერი უნდა გამოვიდეს.

ბიულეტენის პირველ ექვს ნომერში (შარშან შემოდგომაზე გამოიცა) დაიბეჭდა თბილისის საზონათშორისო ტურნირზე გათამაშებული ყველა 105 პარტია, ზოგი მათგანი სპეციალისტის შენიშვნებით. აქვე გამოქვეყნდა საზონათშორისო ტურნირების ისტორია, ყველა შეჯიბრების (7) შედეგების ცხრილები, ინტერვიუები მ. მურეშანთან (რუმინეთი), ლიუ შილანთან (ჩინეთი) და მ. პეტრონიჩთან (იუგოსლავია), რეცენზიები ქართველი ავტორების წიგნებზე, ნ. სახაროვის წერილი „საჭადრაკო წიგნი საქართველოში“ და სხვა. ბიულეტენები ილუსტრირებულია.

ახლახან განახლდა ბიულეტენის გამოცემა (გამოვიდა № 7 და № 8). ამ ბიულეტენებში ისტამბება პირველი ლიგის და ქალთა 42-ე ჩემპიონატის ყველა (153-153) პარტია, აგრეთვე შვეიცარიაში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე გათამაშებული (მათ შორის ჩვენი დიდოსტატი ქალების) საუკეთესო პარტიები, გამოქვეყნდება სხვადასხვა წერილი, ინტერვიუები ა. კარპოვთან და მ. ბოტვინიკთან და სხვ.

ბიულეტენის ყოველ ნომერში დაბეჭდილია ინფორმაციები საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატი და შეგირდი

სამტრედია, 22 იანვარი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). რაიონის პიონერთა სახლში უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს საქართველოს ვაჟთა პირველობა ასუჯრიან შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ოსტატები ა. გოჰიმანი, ი. სპესივცევი (ორივე — თბილისი) და 9 ოსტატობის კანდიდატი, მათ შორის სამტრედიელი გოგონა თამარ გრიგოლია.

5 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს გოჰიმანი — 5 ქულა. ნორჩ მოშაშეს ჯ. ბერიშვილს (თბილისი) 3,5 ქულა აქვს, ზ. ხოფერიას (ფოთი) და დ. რეხვიაშვილს (რუსთავი) — 2,5-2,5.

ჩემპიონატი თვის ბოლომდე გასტანს.

მ. არჩვაძე.



უძველესი დროიდან მოდის ლაოსელი გლეხების ტრადიცია — მდინარე მეკონგზე გამართონ მრავალადგილიანი ნავებით შეჯიბრება.

სურათზე: ნავების რბოლა მეკონგზე.

საკდესის ფოტო.

● კალათბურთი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მინსკის რტი-ს გუნდებს შორის. ანგარიშით 93:84 (46:44) გაიმარჯვეს ბელორუსმა კალათბურთელებმა.

● ჩოგბურთი

გადაწყვეტს ბოლო ტური

„სამეფო თასის“ გათამაშების წინასწარი შეხვედრების მეხუთე ტურის მატჩების შემდეგ ცნობილი გახდა ის სამი გუნდი (გფრ, შვეცია და ჩეხოსლოვაკია), რომლებიც ბრძოლას ფინალურ ტურნირში გააგრძელებენ.

„ა“ ჯგუფის ფავორიტების — შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელთა შეხვედრამ წარმატება ჩეხოსლოვაკიელებს მოუტანა — 3:0. ახლა ორივე გუნდს 4-4 ქულა აქვს. 2 ქულა მოაგროვა ირლანდიის ნაკრებმა, რომელმაც ასევე 3:0 მოუგო ფინეთის გუნდს.

„ბ“ ჯგუფში, სადაც საბჭოთა ჩოგბურთელები გამოდიან, ლიდერმა გფრ-ის ნაკრებმა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ავსტრიელებთან — 2:1. ინგლისელებს 3 ქულა აქვთ, ჩვენს ნაკრებს — 2. ამ ჯგუფში მეორე ფინალური საგზურის ბედს გადაწყვეტს ბოლო ტურის მატჩები: ავსტრია — სსრ კავშირი, ინგლისი — გფრ.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ფიფა: „დაამთავრეს ექსპერიმენტები“

იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია ზოგიერთ ექსპერიმენტს მიმართავს (3 ქულა გამარჯვებისთვის, მოთამაშის გაძევება 10 წუთით და ა. შ.), ფიფა-მ სპეციალური წერილი გაუგზავნა ამ ორგანიზაციას, რომელშიც მოითხოვს დაამთავრონ ინგლისელებმა ეს ექსპერიმენტები და ხელი აიღონ შემდგომ საფეხბურთო რეფორმებზე.

მენოტი „ბარსელონაში“

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩებში წარმატებით თამაშობს „ბარსელონა“, რომელსაც ტურნირის მეორე ნახევარში არც ერთი ქულა არ დაუკარგავს და ახლა მადრიდის „რეალისა“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფება.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ სპეციალისტს ლუის მენოტის, რომელმაც იანვრის პირველ რიცხვებში ჩაიბარა „ბარსელონა“. მენოტიმ სამწლიანი კონტრაქტი დადო კლუბთან, თუმცა პირველ ხანებში მას ეხმარება „ბარსელონას“ ყოფილი მწვრთნელი, დასავლეთგერმანელი უ. ლატეკი.

უცხოეთის
ფეხბურთის
ამბები

რაც შეეხება „ბარსელონას“ სხვა არგენტინელს, ფორვარდ მარადონას, იგი ორ-სამ თვეში შეუდგება ვარჯიშს. კლუბის ხელმძღვანელობა იძულებულია მისი შემცვლელი ფეხბურთელი ეძებოს. ახლა „ბარსელონას“ წარმომადგენლებს მოლაპარაკება აქვთ სხვადასხვა ცნობილ ფეხბურთელებთან. მათ შორის ბრაზილიელ ჟაირთან, რომელმაც 1983 წლის საკონტინენტთაშორისო თასზე ურუგვაის „პენიაროლის“ რიგებში ითამაშა, აგრეთვე, ვენის „რაპიდის“ ფორვარდ კრანკლთან. სხვათა შორის, კრანკლი 1978-79 წლებში უკვე გამოდიოდა „ბარსელონაში“ და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

„სუპერთასი“ — „რეალ-სოსიედადს“

ესპანეთში ტრადიციულად ეწყობა „სუპერთასის“ გათამაშება ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის. გუნდები ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს.

ჩემპიონ „რეალ-სოსიედადისა“ (სან-სებასტიანი) და თასის მფლობელ მადრიდის „რეალის“ პირველი მატჩი გაიმართა ესპანეთის დედაქალაქში და დასრულდა მადრიდელთა გამარჯვებით — 1:0.

მეორე მატჩის ძირითადი დროის შემდეგ ანგარიში იყო 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. დამატებით დროში ბასკმა ფეხბურთელებმა კიდევ 3 ბურთი გაიტანეს და „სუპერთასიც“ მათ დარჩათ. აღსანიშნავია, რომ მსაჯმა მინდორი დაატოვებინა მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებს ხუან ხოსესა და ანხელს.

საბჭოთა მწვრთნელის წარმატება

ისლანდიის ჩემპიონატი ფეხბურთში რეიკიავიკის „ვიკინგურის“ გაიმარჯვებით აღინიშნა.

ეს კლუბი 1908 წლიდან არსებობს, მაგრამ ჩემპიონი სულ მეოთხედ (ადრე 1920, 1924 და 1981 წლებში) გახდა. მის წარმატებას საბჭოთა მწვრთნელ ი. სედოვს უკავშირებენ, რომელმაც თავისი სამწლიანი კონტრაქტი „ვიკინგურთან“ დაასრულა და სამშობლოში დაბრუნდა.

მწვრთნელთა სემინარი

იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში 10-14 იანვარს მიმდინარეობდა უეფა-ს IX სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა.

უეფა-ს ბიულეტენში აღნიშნულია, რომ სემინარზე განიხილეს ფეხბურთის შემდგომი განვითარების საკითხები, საგანგებო ანალიზი გაუკეთეს განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს. ამას გარდა, განიხილეს კონკრეტული საკითხები თუ როგორ უნდა ეროვნული ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, ფეხბურთელთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზადება, თამაშებს შორის პერიოდის რაციონალური გამოყენება და ა. შ.

სემინარზე რეფერატები წაიკითხეს იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა.

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ე. ბეარზოტმა დამსწრეებს მოუთხრო თუ რა პრინციპით ახორციელებდა თავის გუნდში ზონურ და პერსონალურ დაცვას, ფრანგმა მ. იდალგომ ილაპარაკა ევროპული ფეხბურთის განვითარების პრობლემებზე, პოლონეთის ნაკრების ხელმძღვანელმა ა. პეხნიჩეკმა თემად აირჩია ევროპის გუნდების სამზადისის თავისებურებანი განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ხოლო დასავლეთგერმანელმა ი. დერვალმა ლექცია წაიკითხა საპასუხისმგებლო ტურნირების პირობებში გუნდის ხელმძღვანელობის საერთო და სპეციფიკურ პრობლემებზე.

სემინარზე მოხსენებით გამოვიდა ბრაზილიელი ტ. სანტანაც. მან ილაპარაკა იმ პრინციპულ განსხვავებაზე, რაც არსებობს ევროპულ და სამხრეთამერიკულ ფეხბურთს შორის.

1982 წლის ლაურეატები

საფრანგეთში 1982 წლის საფეხბურთო სეზონის ლაურეატებად აღიარეს შემდეგი მოთამაშეები: ქვეყნის № 1 ფეხბურთელი — ჟირესი („ჟირონდა“, ბორდო), № 1 მწვრთნელი — იდალგო (ეროვნული ნაკრები), № 1 მსაჯი — ვატრო, კლუბის უერთგულესი მოთამაშე — ბოსი („ნანტი“), უცხოელთა შორის უძლიერესი — ბარბერისი (შვეიცარია) და შარმახი (პოლონეთი).

საუკეთესო მწვრთნელი — ბანიოლი

ანკეტაში, რომელიც იტალიის პირველი ლიგის კლუბების კაპიტნებმა შეავსეს, ამ ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებულია ოსვალდო ბანიოლი. მისი ხელმძღვანელობით „ჰელასმა“ (ვერონა) გაიმარჯვა მეორე ლიგაში, ახლა კი, ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ, „ჰელასი“ წარმატებით იბრძვის და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა.

რეკორდები

ლოს-ანჯელესში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში სამი მსოფლიო მიღწევა (დარბაზებისთვის) გააუმჯობესეს აშშ-ის სპორტსმენებმა. ბ. ოლსონმა ჭოკით ხტომაში 5 მეტრი და 76 სმ სიმაღლე დასძლია, რაც 1 სმ-ით სჯობს ადრინდელ რეკორდს. მისმა თანამემამულეებმა ე. ეშფორდმა და მ. დეკერ-ტებმა 50 იარდი და 2 მილი შესაბამისად 5,77 და 9.31,7 წამში გაირბინეს.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეოთხე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49-დან: 1 (კალათბურთი), 20 (აფროსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (მშვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 36 (საავიაციო სპორტი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 11 (ფრენბურთი), 16 (ცხენოსნობა), 17 (ციგურაობა), 22 (წყალში ხტომა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07403